


# თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის ანგარიში

ჩემთვის  დიდი პატივია ვიყო საკრებულოს წევრი, მითუმეტეს საკრებულოს თავმჯდომარე და ვატარო ეს სტატუსი. მადლობას მოვახსენებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და საკრებულოს წევრებს ნდობის და მხარდაჭერის გამოცხადებისთვის.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული  კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსი“-ს 35-ე მუხლის ,,1“- ლი პუნქტის ,,ლ“ პუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ჩემს მიერ გაწეულ 2021-2022 სამუშაო წლის ანგარიშს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულო, კანონის შესაბამისად, მითითებულ დროში შეიკრიბა 2021 წლის 3 დეკემბრიდან და შეუდგა თავის ფუნქციის შესრულებას. მე-5 მოწვევის საკრებულოს სტრუქტურა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეიცვალა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები განისაზღვრა 3 ერთეულით:

ა) პირველი მოადგილე - დავით გოგბერაშვილი

ბ) მოადგილეები - ნინო ჩხიკვაძე, ჯემალი ისაკაძე.

ქალბატონებო და ბატონებო! თითოეული თქვენთაგანისთვის კარგად არის ცნობილი, საქართველოს მთავრობის სურვილი და გადაწყვეტილება, ,,რაც შეიძლება მეტი ქალბატონი პოლიტიკაში, მათი აქტიური ჩართულობა ქვეყნის მმართველობის სხვადასხვა რგოლში“. მოგეხსენებათ, ამ მიზნით საკრებულოში ფუნქციონირებს გენდერული თანასწორობის საბჭო.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულო მრავალპარტიულია და შედგება 30 წევრისაგან. აქედან 15 ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრია, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 8 წევრი, ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა საქართველოსთვის“ 3 წევრი და პარტია ,, საქართველოსთვის“ 1 წევრი, ,,საზოდაგოებრივი მოზრაობა ხალხის ძალა“ 3 წევრი, მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უმრავლესობა შედგება 18 წევრისაგან.

საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს მორიგი სხდომები იმართება ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს, 12:00 სთ-ზე.

## ბიურო

საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები. ბიუროში 12 წევრია. განვლილ პერიოდში გაიმართა 20 ბიუროს სხდომა, რომლებზეც, საერთო ჯამში, 121 საკითხია განიხილული.

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 კომისია.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელის შეწყობას, მერიის მისი სტრუქტურული

ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მეშვეობით:

2021 წლის 7 დეკემბრის განკარგულებით შეიქმნა 5 კომისია:

1. **იურიდიულ საკითხთა კომისია** _ თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე

- კომისია შედგება 11 წევრისგან.
- დღემდე ჩატარებულია 14 სხდომა

2. **საფინანსო-საბიუჯეტო კომისია** _ თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

- კომისია შედგება 11 წევრისგან.
- დღემდე ჩატარებულია 13 სხდომა

3. **ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია** _ თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

- კომისია შედგება 11 წევრისგან.
- დღემდე ჩატარებულია 13 სხდომა

4. **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია** _ თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

- კომისია შედგება 11 წევრისგან.
- დღემდე ჩატარებულია 7 სხდომა

5. **კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია** _ თავმჯდომარე გრიგოლ გიორგაძე

- კომისია შედგება 11 წევრისგან.
- დღემდე ჩატარებულია 3 სხდომა

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 3 ფრაქცია.**

1. ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე გოჩა ვერულაშვილი.

2. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე კახა ბუცხრიკიძე.

3. ფრაქცია ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ თავმჯდომარე ტარიელ ფანჩულიძე.

## სხდომები და მიღებული გადაწყვეტილებები

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე საკრებულომ ჩაატარა 21 სხდომა, აქედან 13 მორიგი და 8_ რიგგარეშე. საერთო ჯამში განიხილეს 126 საკითხი, მიღებული იქნა 26 დადგენილება და 86 განკარგულება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-5 მოწვევის საკრებულოში ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე. მონაწილეობას ვღებულობ საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში და ღონისძიებებზე. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს სამი სხდომა ჩატარდა, სადაც დავამტკიცეთ საბჭოს პერსონალური შემადგენლობა, რეგლამენტი და სტრატეგიული გეგმა. აღნიშნული საბჭოს ფარგლებში რეგულარულად ხორციელდება შესაბამისი აქტივობები.

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრა

მოსახლეობასთან კომუნიკაცია და მათთან ერთად არსებულ საჭიროებებზე საუბარი მნიშვნელოვანია. რეგულარულად ვხვდები მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს კვირის ნებისმიერ დღეს, თავიანთ თუ საერთო პრობლემებზე სასაუბროდ, მაქსიმალურად მიმაქვს მათი სათხოვარი გულთან და ძალღონეს არ ვიშურებ მათ დასახმარებლად. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს, სამუშაო შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც საუბარი მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას, დამატებით საჭიროებებსა და რიგი საკითხების მოგვარებას ეხება, ცხადია გათვალისწინებულია ყველა ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად დაიგეგმა. საკრებულოს ხელმძღვანელები სისტემატიურად ვანხორციელებთ შეხვედრებს მოქალაქეებთან. ვეცნობით მათ პრობლემებს, საკრებულოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად ვპოულობთ პრობლემების გადაჭრისა და მოგვარების გზებს. ასევე ადგილზე ვათვალიერებთ ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებსაც ასრულებენ ტენდერში გამარჯვებული სხვადასხვა კომპანიები. საქართველოს პარლამენტში თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ბეჟან წაქაძესთან ერთად შევხვდით მოსახლეობას მუნიციპალითეტის სხვადასხვა სოფლებში. სადაც მოვისმინეთ მათი პრობლემების შესახებ და ვიმსჯელეთ მოგვარების გზებზე.

ბიუჯეტი

2022 წლის საწყისი ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 14 დეკემბერს და შეადგენდა 19,210,000 ლარს. მოცულობით, მიმდინარე წლის განმავლობაში 12-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილება თანხების გაზრდის მიზნით და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მთლიანმა მოცულობამ წლის ბოლოსთვის შეადგინა 30,337,300 ლარი, რომელიც განაწილდა მუნიციპალიტეში არსებულ სოციალურ პროგრამებზე, ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, განათლებაზე, სპორტზე, გარემოს დაცვაზე და სხვა არსებულ საჭიროებებზე.

## სოციალური პროგრამები

ადგილობრივ თვითმმართველობაში მთავარი საზრუნავი არის და ყოველთვის იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. საკრებულომ დაამტკიცა 15 სოციალური პროგრამა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი -202,450 ლარი.
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების ერთჯერადი პროგრამა. ბიუჯეტი - 307,000 ლარი.
3. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 40,000 ლარი.
4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეების, მედიკამტებით დახმარება. ბიუჯეტი - 5,000 ლარი.
5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭივრებაში და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარება. ბიუჯეტი - 85000 ლარი.
6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 37300 ლარი.
7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 1400 ლარი.
8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 27000 ლარი.
9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 85200 ლარი.
10. უსალკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებლი ბინით, ქირით უზრუნველყოფის პროგრამა. ბიუჯეტი - 19800 ლარი.
11. თერჯოლის მუნიციპალიტერში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 410,000 ლარი.

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეისტრირებული ფენილკეტონურიითა და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 28300 ლარი.
13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის დახმარების პროგრამა. ბიუჯეტი - 18700 ლარი.
14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა. ბიუჯეტი 4000 ლარი.
15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2022 წლის პროგრამა. ბიუჯეტი - 2300 ლარი.

**2022 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,** თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 690 ათასი ლარი, საერთო ჯამში განხორციელდა 79 ინფრასტრუქტურული პროექტი, აგრეთვე მუნიციპალიტეტში რ.გ.ფ._ისა და საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 22 პროექტი:

1. სოფ. ახალთერჯოლის მოსახლეობის სასმელი წყლის მაგისტრალისა და სათავე ნაგებობის მოწყობითი სამუშაოები, მიმდინარე წელს პროექტზე დახარჯულია 1,345,334 ათასი ლარი, პროექტი გარდამავალია და მისი დასრულების შემდეგ სასმელი წყლით მომარაგდება 630 ოჯახი.
2. სოფ. ზედა საზანოს ბაღის მშენებლობა, პროექტის ღირებულება 898,760 ათასი ლარი.
3. სოფელ თავასაში საავტომობილო ხიდის შეკეთება და ბეტონის საფარის მოწყობა, პროექტის ღირებულება 528,770 ლარი
4. სოფელ ღვანკითის ავტობანის დამაკავსირებელ გზა, პროექტის ღირებულება 746,728 ლარი.
5. ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე ასფალტის გზის მოწყობა, დაიხარჯა 233,061 ლარი
6. სოფ. გოგნის გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, პროექტის ღირებულება 126,492 ლარი.
7. სოფელ ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზა ბეტონის საფარის მოწყობა, პროექტის ღირებულება 573,000 ლარი.
8. სოფ. ჩხარი/ეწერი-ძევრის დამაკავშირებელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, პროექტის ღირებულება 378,370 ლარი.
9. ქ. თერჯოლა ვარლამ მაკარიძის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულება 579,460 ლარი.
10. ქ.თერჯოლაში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე (მაჩიტიძეები) უბანში ბეტონის საფარის მოწყობა, პროექტის ღიეებულება 298,000 ლარი.
11. სოფ. ღვანკითში ცენტრთან დამაკავშირებელ გზაზე ასფალტის საფარის მოწყობა (პროექტი გარდამავალია) მიმდინარე წელს გაიხარჯა 300,000 ლარი.
12. ქ. თერჯოლაში N3 ბაღის მშენებლობა, პროექტის ღირებულება 2,243,846 ლარი.
13. სოფ. ძევრში საგვარჯილეს გამოქვაბულის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული ზოლის მოწყობა რომელიც ხორციელდება საპილოტე რეგიონების განვითარების ფონდიდან, პროექტის ღირებულება 1,226,742 ლარი.
14. ქ. თერჯოლაში სკვერის მოწყობა, პროექტი ხორციელდება საპილოტე რეგიონების განვითარების ფონდიდან რომლის ღირებულებაა 1,093,667 ლარი.
15. მუნიციპალიტეტის მაშტაბით 8 სოფელში მოეწყო სპორტული ინფრასტრუქტურა, პროექტის რირებულობა შეადგენს 190, 700 ლარს.
16. სოფ. ზედა სიმონეთში სკვერის მოწყობა, პროექტის ღირებულება 71,860 ლარი.
17. მუნიციპალიტეტის მაშტაბით სანიაღვრეების მოწყობაში დაიხარჯა 103,693 ლარი დახრეშვითი სამუშაოებისთვის გამოყოფილი იყო 300,000 ლარი, მიმდინარე წელს სტიქიის შედეგად დაზიანებების აღმოსაფხვრელად დახარჯული თანხის ოდენობას შეადგენს 550,000ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდა ორ სოფელს სოფ. გოგნი 305,670 ლარი. სოფ. ძევრი 239,330 ლარი.
18. მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალური პროგრამის მეშვეობით დასრულდა 9 საცხობრებელი სახლის მშენებლობა შეჭირვებული ოჯახებისთვის და გადაეცათ მათ საჩუქრად.

## გამწვანების და დასუფთავების აქცია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის შესაბამისი სამსახურები და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ ისეთ საქმიანობაში, როგორიცაა: ,,საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო''-ს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში: ,,დავიცვათ საქართველოს სისუფთავე'', ,,დედამიწის დღე'' ,,გამწვანების აქციები'', ,,კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში''. მიმდინარე წლის გამართული დასუფთავების აქციები და მწვანე ნარგავებით ჯანსაღი გარემოს შექმნა ნათელი დასტურია მუნიციპალიტეტის მხრიდან, ზემოთ აღნიშნული

პროექტების მხარდაჭერისთვის.

## იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომები იმართება პერიოდულად, სადაც ხდება მუნიციპალიტეტების ინტერესების წარმოდგენა და სამუშაო პროექტების გარჩევა მოწონება. საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე აქტიურად მონაწილეობას ვღებულობთ საკრებულოს ხელმძღვანელები.

# თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

საკრებულოს აპარატი, რეგლამენტის შესაბამისად, შეუფერხებლად უწევს ორგანიზებას საკრებულოს სხდომებს, ფრაქციებისა და კომისიების მუშაობას. აპარატი 16 თანამშრომლით არის დაკომპლექტებული. აქედან 7-შტატით გათვალისწინებული, 7-ხელშეკრულებით აყვანილი და 2-ვაკანტური ადგილია.

საკრებულოს გამართულ საქმიანობას და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს, საკრებულოს აპარატი.

დანერგილ ელექტრონულ საქმის წარმოების სისტემაში წარმატებული საქმიანობის შედეგად, საკრებულოს ყველა წევრი, დროულად და სრულყოფილად იღებს საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებს, მოქალაქეების განცხადებებს, კომისიის და ფრაქციების დღის წესრიგს და სხვა სახის დოკუმენტაციას. შემოსული წერილები და კორესპოდენციები აღრიცხულია სათანადო წესის დაცვითა და დროულად არის მიწოდებული ადრესატამდე. დაცულია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება. 2020 წლიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვა ხორციელდება ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ პროგრამაში (MSDA). აღნიშნული პროგრამით სარგებლობს აპარატის ყველა თანამშრომელი.

# მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებები

მარტოხელა ოჯახებსა და მარტოხელა მოხუცებს მივულოცეთ ბარბარობისა და ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაული, სადაც გადავეცით სასურსათე კალათები, ტკბილეული და სხვა საჭირო ნივთები.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა, დეპუტატის ბიუროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, აგვისტოს ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალი გვირგვინით შევამკეთ და დაღუპული გმირის ხსოვნას პატივი მივაგეთ.

25 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად პატივი მივაგეთ, საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნას.

ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, საკრებულოს წევრებთან, მერთან და მერის მოადგილეებთან ერთად 8 მარტი მუნიციპალიტეტში მომუშავე ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრისა და ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებს მივულოცეთ და სიმბოლური საჩუქრები გადავეცით.

9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია, საკრებულოს წევრებთან ერთად პატივი მივაგეთ 9 აპრილს დაღუპული ადამიანების ხსოვნას და მემორიალები გვირბვინით შევამკეთ.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სამამულო ომის ვეტერანების ოჯახებს ვესტუმრეთ, ფაშიზმზე გამარჯვების დღე მივულოცეთ, საჩუქრები გადავეცით და გმირობისათვის მადლობა გადავუხადეთ. მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მეომრების ხსოვნას პატივი მივაგეთ და დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შევამკეთ.

ხშირად ვესწრები თერჯოლის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის სამხატვრო სკოლაში, სხვადასხვა გამოფენებს და ღონისძიებებს საკრებულოს წევრებთან ერთად.

მონაწილეობა მივიღე საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებებში.

საკრებულოს წევრებთან ერათად აქტიურად ჩავერთეთ უკრაინელებისათვის ჰუმანიტარული ნივთების შეგროვების პროცესში. საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოში ჩამოსულ უკრაინელ ოჯახებს ვესტუმრეთ, მათ გადავეცით საკვები პროდუქტები, პირველადი მოხმარების ნივთები და მედიკამენტები.

ჩემთვის როგორც საკრებულოს თავჯდომარესთვის მნისვნელოვანია მომავალი თაობისთვის მხარდაჭერა, მათთან საუბარი სხვადასხვა თემებზე, ამ მიზნით ხშირად ვსტუმრობ საჯარო

სკოლებს, მონაწილეობა მივიღე მათ მიერ გამართულ კულტურულ, სპორტულ და ინტელექტუალურ პროექტებში, ასევე საკრებულოში სტუმრად გვყავდა რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლები რომელთაც გავაცანით საკრებულოს მუშაობის სპეციფიკა.

ხშირად ვიღებთ მონაწილეობას საკრებულოს წევრები სისხლით დონაციის აქციებში.

ჯანსაღი ცხოვრების სტილი ჩემთვის მნიშველოვანია, ამ მიზნით დავესწარი სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს, ოლიმპიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, საფეხბურთო, საკალათბურთო და ჭიდაობის ტურნირებს. სოფ. ახალთერჯოლაში გავხსენით მინი საფეხბურთო სტადიონი.

## მედია და სოც-ქსელები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს, ასევე ყველა შესაძლო ინფორმაციას საკრებულოს საქმიანიბის შესახებ, რაც განსაზღურელია ინფორმაციის მიწოდებისთვის ხორციელდება საკრებულოში არსებული მედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით. რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობას და მოქალაქეების მაქსიმალურ ინფორმირებას.

ასევე ხდება განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პროექტების სხვადასხვა ღონისძიებების და აქტივობების შესახებ პოსტების განთავსება, საკრებულოს ოფიციალური ფეისბუქგვერდიდან და ვებ-გვერდი terjola.gov.ge. რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.